

შუამდინარული რიტუალის
ხორბლის უხვი მოსავლის მიღების
ინტერპრეტაციის
ON THE INTERPRETATION OF THE MESOPOTAMIAN
RITUAL OF GAINING ABUNDANT HARVEST OF WHEAT

ნინო სამსონია
Nino Samsonia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: შუმერული, ირიგაცია, სარწყავი არხი,
ენმერქარი, შუამდინარეთი, წყალდიდობა, მინათმოქმედება.

Keywords: Sumerian, Irrigation, Canal, Enmerkar, Mesopotamia, Flood,
Agriculture.

ნაშრომში განვიხილავთ ძველ შუამდინარეთში არსებული საირიგაციო სისტემის მართვის ტრადიციას, ლურსმულ ტექსტებს, რომლებშიც არხების მმართველებად მეფეები გვევლინებიან. სანამ უშუალოდ ქ. ურუქის მეფის, ენმერქარის მიერ ჩატარებული საირიგაციო რიტუალის ახსნას შევცხებით, წარმოგიდგინებ ქ. ლარსას მეფის, რიმ-სინ I-ის წარწერას, ასევე ქ. ლაგაშის ენსის, ენთემენას აგურის წარწერას. ტექსტი მოგვითხრობს, თუ როგორ ახერხებდნენ შუამდინარეთის მკვიდრნი წყლის მარაგის შექმნას. ტექსტში ფიქსირდება აგური და ბიტუმი, რომლებიც წყალგამძლე მასალაა და დღესაც გამოიყენება ჰიდრო პროექტებისთვის.

არსებული სამეურნეო ტექსტები და მეფეთა წარწერები ცხადყოფენ, რომ შუამდინარეთის ქალაქ-სახელმწიფოებს ჰქონდათ განვითარებული საირიგაციო სისტემები, რომელთაც სრულყოფილად მართავდნენ და წყლის დონესაც აკონტროლებდნენ. ტექსტებში მოხსენიებულია არხების ზედამხედველიც, რომელსაც – *suḫgallum* ეწოდებოდა. მიუხედავად მნიშვნელოვანი ფუნქციისა, ისინი იშვიათად გვხვდებიან ადმინისტრაციულ ტექსტებში. ლურსმულ ტექსტებში დაფიქსირებულია შემდეგი საირიგაციო ტერმინები: *lkum* (აქად.) – 60/60 მეტრის კონსტრუქცია დამბებს და არხებს შორის; *nag-kud* (აქად.) – არხებთან არსებული მოგრძო აუზის ფორმის კონსტრუქცია (90 მეტრის სიგრძის და 2 მეტრის სიღრმის), იგივე რეზერვუარი;

ნაშრომში განვიხილული ტექსტები ენმერქარის შემდგომი პერიოდისაა. მათ ერთმანეთისაგან რამდენიმე საუკუნე აშორებს. არხების გაყვანისა და წყლის მართვის ცოდნის სათავეში კი ქ. ურუქის პირველი დინასტიის მეფეები უნდა მდგარიყვნენ.

ნაშრომში განვიხილავთ შუმერული ეპოსის „ენმერქარი და არათას ბატონი“ ტექსტის 308-329 სტრიქონებს, რომლებიც უნდა აღწერდეს საირიგაციო რიტუალს, როდესაც მეფემ ურთულეს ამოცანას ასრულებს. ენმერქარი წარმოაჩენს ხორბლის მოყვანა-დანამვის უკიდევანო შესაძლებლობებს ურუქში, რაც საირიგაციო სისტემის სრულყოფილ მართვას უკავშირდება. ტექსტის მიხედვით, მეფე ახერხებს საკმაოდ დიდი რაოდენობის ხორბლის დანამვას. თუმცა, აღნიშნული რიტუალის მეტა-

ფორული ენიდან გამომდინარე, მაინც ბუნდოვანი რჩება, თუ როგორ აღწევს ენმერქარი ამ მიზანს.

განხილული ტექსტების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ენმერქარმა არხების „რეზერვუარი“ – Ikum-ის წყალი გამოიყენა, რომლის შუმერული შესატყვისის -eg სწორედ ურუქის მეფეთა ეპოსებში ფიქსირდება. აქადური Ikum შესატყვისება შუმერულ eg-ს, რომელიც ითარგმნება, როგორც „დამბა“, „არხი“. ეს სიტყვა პირველად ენმერქარის მემკვიდრის, ლუგალბანდას ეპოსში ფიქსირდება იმავე მნიშვნელობით. ენმერქარმა გახსნა წყალი არხის Ikum-იდან (იგივე შუმ. eg), ანუ 60/60 მეტრის კონსტრუქციიდან და შეძლო მთელი წლის მოსავლის დანამვა. ამგვარად, ურუქის მეფემ ურთულესი ამოცანის შესრულება შეძლო.

ნაშრომში ასევე განვიხილავთ ლურსმულ ტესტებში დაფიქსირებულ საირიგაციო ტერმინს Nag-ku(d), რომელიც მოგრძო აუზის ფორმის კონსტრუქციად არის მიჩნეული. სიტყვის პირველი მარცვალის nag შუმერული ზმნაა, რომელიც „დაღევას“, „სმას“ ნიშნავს და სასმელ წყალს, წყურვილის მოკვლას უკავშირდება. სიტყვის სემანტიკა შესაძლოა გვაძლევდეს უფლებას, რომ ტექსტის 310-ე სტრიქონის სიტყვები: „მეფემ შეუერთა ევფრათი ტიგროსს“ ამ რეზერვუარიდან წყლის გაშვებად მივიჩნიოთ, რომლის მართვაშიც ენმერქარი კარგად უნდა ყოფილიყო დახელოვებული.

ნაშრომში შეჯამებულია ძვ.წ. III-II ათასწლეულის ლურსმულ ტექსტებში დაფიქსირებული საირიგაციო ტერმინები:

1. ikum (აქად.) (შუმ. Eg) – დამბებსა და არხებს შორის არსებული 60/60 მეტრის კონსტრუქცია;

2. nag-ku(d) (აქად.) – არხებთან არსებული მოგრძო აუზის ფორმის კონსტრუქცია (90 მეტრის სიგრძის და 2 მეტრის სიღრმის), რეზერვუარი.

3. sugallum - არხე ის მმართველი.

ენმერქარის რიტუალის ტექსტში უცნობი რჩება ორი ტერმინი: eš-da – წმინდა თასი, ჭურჭელი, რომლის მნიშვნელობა უცნობია და lidga – საზომი, სავარაუდოდ, მიწის. ერთი ცხადია, ორივე მათგანი უკავშირდება საირიგაციო საქმიანობას, შესაძლოა – არხების სადრენაჟო სისტემასაც, რაც არსებობდა

შუამდინარეთის ქალაქ-სახელმწიფოებში, თუმცა ლურსმული ტექსტები არ გვინახავენ მათ აღწერილობას და, შესაბამისად, არც მათი მოხმარების წესს. სავარაუდოა, რომ eš-da და lidga მეფის საკრალური იარაღები იყო. ტექსტის მიხედვით, მეფე თავად დგამს ოქროს ემდას ჭურჭლებს შორის და თვითონვე ამაგრებს ლიდგას მიწაზე. მათი მოხმარების საიდუმლოც მხოლოდ მეფეს უნდა სცოდნოდა.

ლიტერატურა

- სამსონია ნ. (2009), შუმერ მეფეთა ეპოსები, თბილისი უნივერსალი.
- Black J., Green A., (2004), Gods, Demons and Symbols of Ancient Mesopotamios, London, British museum press.
- Black J. (1998), Reading Sumerian Poetry, London, The Athlone Press.
- Edzard D. (2003), Sumerian Grammar, Leiden-Boston.
- Postgate J.N. (1992) Early Mesopotamia: Society and Economy at the dawn of history, London and New-York.

In the article, before discussing the irrigation ritual performed by Enmerkar, the king of the first dynasty of Uruk (from the Sumerian epic *“Enmerkar and the Lord of Aratta”*), we address the knowledge and tradition of water management in Mesopotamia. The laying of the canal, the completion and management of the irrigation system was traditionally in the hands of the supreme ruler, the king.

We consider the inscription of King Larsa, Rim-sin I (1758-1699 BC) on how he dug a royal canal. We read in Rim-sin’s text that he, like Enmerkar, performs an irrigation ritual, although the text tells us nothing about the description of the ritual. In the Enmerkar text, the irrigation ritual is presented in detail, although it remains obscure due to the metaphorical language of the text.

The texts discussed in the article are from the later period of Enmerkar - Lagash, Ur III dynasty and the kings of Larsa City are centuries away from the reign of Enmerkar, while city-state Uruk and the

kings of its first dynasty must have possessed the secret of laying and managing the canal, as evidenced by the abundance of wheat of Uruk, which was handed down to posterity, by putting it on the board.

We will discuss verses 308-329 of the text of the Sumerian epic, *Enmerkar and Lord of Aratta* on an unknown irrigation ritual, where the king performs the most difficult task. Enmerkar should demonstrate the immense potential of Uruk for growing wheat, which is related to the perfect management of the irrigation system. The ritual performed by Enmerkar, like that Rin-sin I of Larsa, must be associated with the brilliant management of the irrigation system. The king manages to water (moisten) a fairly large amount of wheat. At the beginning of the ritual, the king interconnected the Tigris to the Euphrates, to indicate the possibility of managing a large amount of water. The king appears as the supreme ruler of the canal, thus fulfilling the function of a priest. However, due to the metaphorical language of this ritual, it remains unclear how Enmerkar achieves the goal. If we follow the mythological aspect of the text, we will see the knowledge that the deity Nisaba shared only with his chosen ones.

Based on the texts discussed, it can be assumed that Enmerkar used the water of the “reservoir” of canals - *ikum*, the Sumerian equivalent of which is recorded in the epics of the kings of Uruk. Akkadian *ikum* corresponds to Sumerian *eg*, which means a *dam*, and as mentioned above, many scholars translate it as a *channel*. This word is first recorded in the epic of Enmerkar, the heir to Lugalbanda, with the same meaning. That is, Enmerkar opened the water from the canal *ikum*, which, as we have seen above, was a 60/60 length-width construction of the same Sumerian texts - *eg*, he was able to water the harvest for the whole year, then the text tells us that the wheat sprouts grew, he filled the nets with wheat and sent to the Lord of Aratta. In this way he was able to complete the most difficult task. Enmerkar made the Lord of Aratta see the wealth and superiority of Uruk.

The term encountered in the texts - *nag-ku (d)* is of interest. It is considered to be the construction of an elongated basin. The first syllable of the word is *nag* — Sumerian verb, which means “to drink”,

is associated with drinking water and quenching thirst. Is it possible that the semantics of the word may allow us to assume that the words of verse 310 of the Enmerkar ritual, “The king interconnected Euphrates and Tigris” means the launching of this reservoir, the management of which Enmerkar must have been well versed in.

Relying upon the texts discussed in the article, let us summarize the irrigation terms recorded in cuneiform texts of III-II millennium BC:

1. *ikum* (Akk.) (Sum. Eg) = 60/60 meter construction between dams and canals;

2. *nag-ku (d)* (Akk.) - construction of an elongated basin near the canals (90 meters long and 2 metres deep), reservoir;

3. *gugallum* - canal Supervisor.

Two unfamiliar terms remain in the Enmerkar ritual text: ***eš-da*** – sacred bowl, a vessel meaning of which is unknown, and ***lidga*** – measurement, presumably of land. One thing is clear - both words are related to irrigation activities, and maybe to the drainage system as well, which existed in the Mesopotamian city-states, however, the cuneiform texts keep silence regarding the description of the drainage system and, consequently, the method of its usage. Presumably ***eš-da*** and ***lidga*** were the sacral tools of the king. According to the text, the king himself placed golden ***eš-da*** between the vessels and attached ***lidga*** to the land, the use of which probably remained a secret with the king.

References

- Samsonia N.(2009), *Shumer Mefeta Eposebi*, [Sumerian Kings' Epic] Tbilisi, Universali press.
- Black J., Green A., (2004), *Gods, Demons and Symbols of Ancient Mesopotamios*, London, British museum press.
- Black J. (1998), *Reading Sumerian Poetry*, London, The Athlone Press.
- Edzard D. (2003), *Sumerian Grammar*, Leiden-Boston.
- Postgate J.N. (1992) *Early Mesopotamia: Society and Economy at the dawn of history*, London and New-York.

სეფიანთა ხანის ტექსტთა მორფოსინტაქსურ-
სინტაქსური სტილი ისტორიული გრამატიკის
დიაქრონიულ-ტიპოლოგიური დინამიკის
თვალსაზრისით
MORPHOSYNTAX AND SYNTAX STYLE OF SAFAVID
(MEDIEVAL) ERA'S PERSIAN LANGUAGE: DATA TO
DIACHRONIC TYPOLOGICAL DYNAMICS OF HISTORICAL
GRAMMAR

მაია სახოკია
Maia Sakhokia

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ilia State University

გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი
Giorgi Tsereteli Institute of Oriental Studies

საკვანძო სიტყვები: მორფოსინტაქსი, სინტაქსი, დიაქრონია,
ისტორიული, სეფიანთა, დინამიკა, სპეციალური კონსტრუქციები.
Keywords: Morphosyntax, Syntax, Diachrony, Historical, Safavid,
Dynamics, Special Constructions.